№ 79 1877—1895 № 79

კვირა, 16 აპრილი 1895 კვირა, 16 აპრილი 1895

# ივერია

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **ქნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

## ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვკისრულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17. (15—8)

## ქართული თეატრი

საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის

გადაიდო

ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.

წარმოდგენილი იქნება

**დანაშაული და სასჯელი**

დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

გამგე კომიტეტს „ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის" აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 15 მაისს ამ წლისას, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის" მოქმედებისა 1 აპრილიდგან 1894 წლისა 1 აპრილამდის 1895 წლისა,

2) სავარაუდო ხარჯის აღრიცხვა 1 იანვრიდგან 1895 წლისა 1 იანვრამდის 1896 წლისა.

და 3) მოხსენება დამატებითის არჩევანის შესახებ გამგე კომიტეტში.

ტფილისის სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს ბ. ბ. დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ რწმუნების ქაღალდები, საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისათვის, რომელიც 9 მაისისთვის არის დანიშნული, უნდა გამოიგზავნონ არა უგვიანეს ერთის კვირისა კრების დაწყებამდის. (3—6.—1)

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ბდა საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 16 აპრილი.

ქართველ სტუდენტების ამწუხარო ნივთიერი მდგომარეობა კარგა ხანია აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. სხვა-და სხვა გზით და საშუალებით საზოგადოება ეხმარებოდა ხოლმე და ეხმარება დღესაც უმაღლესს სასწავლებლებში მყოფს ახალგაზრდობას, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ეს დახმარება შემთხვევითია, არა სისტემატიური, არა ისეთი ნაყოფიერი, როგორსაც საჭიროება მოითხოვდა. ამიტომ დაიბადა აზრი ისეთის საზოგადოების დაარსებისა, რომელმაც საჭირო დახმარების საქმის მკვიდრს ნიადაგზედ დამყარება შეიძლოს. სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ამ საქმის განხორციელება გაჭიანურდა, მაგრამ ამ ჟამად, საყოველთაო სასიხარულოდ, ზოგიერთი წრეები ჩვენის საზოგადოებისა მხურვალედ შეუდგნენ საქმეს. მალე, როგორც ნამდვილად გავიგეთ, ამ წრეების მიერ მოწვეული იქნება კიდევაც კრება. ჩვენის აზრით ამ კრებამ უნდა გარდასწყვიტოს საბოლოოდ—რა ხასიათისა და ტიპის საქველ-მოქმედო საზოგადოება უნდა დაარსდეს და უნდა ამოირჩიოს დროებით გამგეობა, რომელსაც მიენდობა მოწონებულ წესდების პროექტის შესწორება-შევსება და სადაც ჯერ არს წარდგენა. აუცილებლად საჭიროა, კრება მალე იქნეს მოწვეული და საჭიროა აგრეთვე ამორჩეულს გამგეობას მოკლე ვადა დაენიშნოს მთავრობის წინაშე წესდების წარდგენისათვის, რათა მომავალ შემოდგომას ,,საზოგადოებას'' მოქმედების დაწყება შეეძლოს. ,,საზოგადოების'' დაარსების საჭიროებამ გამოიწვია სამის წესდების შედგენა, რომელნიც ,,ივერიაში'' შემოკლებით უკვე დაიბეჭდნენ (იხილე „ივერია" №№ 52, 68 და 77). კრების მოახლოვების გამო, ჩვენ გვსურს მოვაგონოთ მკითხველს საზოგადოებას ამ წესდებათა დედა-აზრი და გაკვრით განვიხილოთ მათი საგანი.

სტუდენტების მიერ შედგენილს წესდების პროექტს საგნად აქვს ისეთის „საზოგადოების" დაარსება, რომელიც დახმარებას უჩენს რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში მყოფს ორივე სქესის ქართველ მოსწავლეებს. საწევრო ფულის გარდახდევინებით, სხვა-და-სხვა შემოწირულებით და შემოსავლით „საზოგადოება" იჩენს თანხას და დროებითს ან მუდმივს სტიპენდიას აძლევს ღარიბს სტუდენტებს. წლიური სტიპენდია არ უნდა აღემატოს 400 მანეთს. ეს ფული

## ფელეტონი

### ორი ახალი წიგნი

(საბიბლიოგრაფიო შენიშვნა)

„დაწყებითი ალგებრა", შედგენილი ვ. რ. ყიფიანისაგან.

„აკაკის ნაკვესები", წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას მიერ.

მე ერთი იმათგანი ვარ, მკითხველო, რომელიც საზოგადოების, ერის ზრდას განათლების საწყაოთი ჰზომავს, რადგანაც გონება იგივე სულიერი კუჭია და ამ კუჭის ავ-კარგიანობაა აღმნიშვნელი ადამიანისა ცალკე და საზოგადოებისა საერთოდ სულ-მრთელობისა. როგორც საჭმლის რაოდენობა და ავ-კარგიანობა აღნიშნავს ადამიანის კუჭისა და სტომაქის მდგომარეობას, ისეც ლიტერატურა, მწერლობის ავ-კარგიანობა, ნაბეჭდ წიგნების რიცხვი და გასყიდულის რაოდენობაა მაჩვენებელი ერის გონებრივის წარმატებისა, მისის ესტეტიკურ გემოვნებისა, მისის სულიერ მოთხოვნილებისა. ტყუილად-კი არა სთქვა რუსეთის პოეტმა თავ. ვიაზემსკიმ:

Дай Богъ намъ болѣе журналовъ,
Плодятъ читателей они.
Гдѣ есть повѣтріе на чтенье,
Въ чести тамъ грамота, перо;
Гдѣ грамота—тамъ просвѣщенье,
Гдѣ просвѣщенье—тамъ добро.

მართლაც, ყოველი ახალი წიგნი, ქართულს ენაზედ დაბეჭდილი, სიამოვნებით ამიძგერებს ხოლმე გულს. აი კიდევ ერთი ახალი წიგნი, ვფიქრობ გონებაში: დღითი-დღე წიგნების ბეჭდვა ჰმატულობს, ახალი წიგნები მრავლდება... რა ვუყოთ, რომ ზოგი ენის მხრივ ჰკოჭლობს; ზოგს პოეზიისა არა ატყვია-რა, თუმცა მისი ავტორი თავ-მომწონედ აპოლონობს და სხ., დროებით ეს ნაკლიც აცილებული იქნება. საქმე ის არის, რომ ქართველის გონება ჰმუშაობს, წიგნები იბეჭდება... თუ იბეჭდება, მაშასადამე, იყიდება კიდეც, თუ იყიდება, მაშ ჩვენს გონებასაც შესჩვევია სულიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყურვილი, წიგნის კითხვა, წიგნში ფულის გამომეტება. დრო იყო, რომ ქართული წიგნი, სამას ეგზემპლიარად დაბეჭდილი, ათ-წლობით ეწყო ხოლმე და, თუ გაიყიდებოდა, ისიც ათიოდე ცალი, დანარჩენი ან მუქთად უნდა დაგერიგებინა, ან მტვერი შესჭამდა. მე თითონ მოვსწრებივარ ამ დროს და მით უფრო ადვილად წარმოსადგენია ჩემის გულის ტოკვა და სიხარულით შეთამაშება, როდესაც ქართულს წიგნებზედ დავინახავ ხოლმე სანეტარო სიტყვებს: „მესამე გამოცემა, შევსებული და შესწორებული".

დიაღ, ადვილია ამ გრძნობის წარმოდგენა და გათვალისწინება, რადგან წარსულისა და აწმყოს განსხვავება მცირე მანძილზედ მეტად აშკარაა, მეტად ნათელი, მეტად ადვილად დასანახავი. როგორც საყვარელი ბავშვი გიჯდეს წინ ანბანით ხელში და სიამოვნებითა და სიხარულით ადევნებდე თვალს, როგორა სწავლობს ერთიმეორეზედ ასოებს, ანიდგან როგორ მიდის კანამდე და ლასამდე; როგორც მაშინ გებადება ნეტარი იმედი, რომ ჰაე-ჭამდისაც ჩააღწევსო, მეც ისე ყოველი ახალი წიგნი, ქართულად დაბეჭდილი, ამ სიამოვნებას მიბადავს გულში, ამ იმედს აღმიძრავს ხოლმე, იმედს მომავლის სიკეთისასა და კეთილდღეობისას.

აგერ ეხლაც ჩემს წინ ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი სძევს. ერთს აწერია: „დაწყებითი ალგებრა, შედგენილი ვ. რ. ყიფიანისაგან", ხოლო მეორეს: „აკაკის ნაკვესები, შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას მიერ". როგორც ჰხედავთ, ამ ორსავე წიგნის გამომცემელს შრომისა, ცოდნისა და ფულის ხარჯვის მეტი არა მიუძღვით-რა. ერთი ცოდნით აღჭურვილა, უშველებელი წიგნი შეუდგენია ქართულს ენაზედ და ხარჯი გაუწევია, დაუსტამბია; მეორეს შრომა მოუნდომებია, ნაკვესები შეუკრებია და დაუსტამბია. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართულის წიგნისაგან მოგების მოლოდინი ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ჩვენში წიგნების კითხვის სურვილი ჯერ მაინც-და-მაინც იმდენად არ არის ფეხ-ადგმული, რომ წიგნის დაბეჭდვას ანგარიში უძღოდეს წინ, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ბ-ნი ვ. ყიფიანიცა და თ. სახოკიაც სხვა რამ სურვილს აღუძრავს ამა მოქმედებისათვის. ისიც ხომ ვიცით, რომ არა ყოველი სურვილია ერთგვარი, რომ სურვილი დედაა მოქმედებისა და ნაყოფი ხისაგან იცნობების.

ამიტომ ოდნავ გადავათვალიეროთ ეს ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი და უტყვად, უთქმელად შევეკითხოთ: მათი გარეგანი სახე და შინაარსი გვეტყვის, გაგვიმჟღავნებს ორისავე გამომცემლის გულის-თქმას და აშკარად დაგვანახვებს, რომელს კოკასა შიგან რა მდგარა, რომ რა წარმოდინებულიყო.

ავიღოთ დაწყებითი ალგებრა შეჰხედეთ ჯერ გარეგნად იმისს სივრცეს. წიგნი 678 გვერდს შეიცავს, ეტყობა, რომ დიდს შრომასთან დიდი ხარჯიც უნდა მოსვლოდა შემდგენელ-გამომცემელს. წლები უნდა ეშრომნა, და დიდად გულ-მოდგინედ, სიყვარულითა და თავ-გამოდებითაც, რომ ამოდენა სახელმძღვანელო შეედგინა. ამ შრომას ზედ დაურთეთ ხარჯი. სულ ცოტა, სამოც ოთხმოცი თუმანი უნდა დასჯდომოდა ქაღალდი, აწყობა, დასტამბვა. ეს შრომა და ხარჯი, ასეთი სიყვარული საქმისა და თავ-გამოდება მით უფრო საკვირველია, რომ ასეთს წიგნს მუშტარი ცოტა ჰყავს, ჯერ ჩვენში ნიადაგი არა აქვს, ათასში ძნელად თუ ათი გაიყიდოს. ჩვენს სასწავლებლებში ალგებრას თუ ასწავლიან,—რუსულად, ქართულს სახელმძღვანელოს სასწავლებლის კარებამდისაც არავინ მიუშვებს. ისე ძნელად თუ გავრცელდეს, რადგან უბრალო მკითხველი იმითი გულს ვერ გაირთობს, ვერც-კი გაიგებს, თუნდა იმდენი მამაცობაც გამოიჩინოს, რომ თავიდგან ბოლომდე წაიკითხოს, რაც ძნელად წარმოსადგენელია; ზრდილიანი მკითხველი-კი, მცოდნე ხელს არ მოჰკიდებს, რადგან იმას სახელმძღვანელო არაფრად სჭირია, მერე ისეთის ცოდნის სახელმძღვანელო, რომელიც თითონაც ნასწავლი აქვს; თუ წაიკითხავს, ისევ სპეციალისტი, საქმის იმ სიყვარულით გატაცებული, რომ ვნახო ქართულს ენაზედ როგორ არის შედგენილიო.

მაშასადამე, აშკარაა, იმის შემდგენელ-გამომცემელს თავისის შრომის სასყიდლისა და ხარჯის უკან დაბრუნების იმედიც-კი არა ჰქონია. ადრევე სცოდნია, რომ ეს დიდი თავ-გამოდებული შრომაც, ეს საკმაო ხარჯიც მსხვერპლია ჩემის მხრივაო. მაშ სჩანს სხვა რაღაცა სურვილი ჰქონია, სხვა რაღაც გულის-თქმა დაუკმაყოფილებია და ამ სურვილისა, ამ გულის-თქმისათვის შეუწირავს შრომაცა და ხარჯიც. რა სურვილია ეს სურვილი? ეს სურვილია სიკეთე თავისის ერისა, სიყვარული იმ ხალხისა, რომლის შვილიც იგია; ეს გულის-თქმა მაშინ აიდგამს ხოლმე ადამიანის გულში ენას, როდესაც ის გრძნობა გაიღვიძებს, რომ სხვას აქვს და ჩვენ არა გვაქვს; სხვისი ქვეყანა მდიდარია ასეთის სახელმძღვანელოებით და ჩვენი კი არაო; შეუძლიანთ კიდეც გვითხრან, არა გაქვთ-რა და როგორ ისწავლით, თქვენს სამშობლო ენას როგორ გამოიყენებთ სწავლის, ცოდნის შეძენის იარაღადაო, და ეს-კი სირცხვილია ჩვენსთვისაო; ასეთი საკიჟინებელი ნაკლი საერთო, საერო ნაკლია და ყოველი გულ-შემატკივარი ერისა ვალდებულია შრომა და ხარჯი არ დაიშუროს იმის ასაცილებლადაო.

აი, ამ ფიქრებს აუშლის ადამიანს ჩვენს წინ გადაშლილი უშველებელი წიგნი ალგებრა, რომლის შემდგენელს ორიოდე სიტყვაც არ წარუმძღვარებია წიგნისათვის, რომ გაეზიარებინა მიზეზი მისის შედგენისა და დასტამბვისა; არ წარუმძღვარებია ალბად, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს

მოსწავლეთ ეძლევათ ან ვადიან ან უვადო სესხად. სწავლის გათავების შემდეგ სტიპენდიატი უხდის „საზოგადოებას“ ვალს წელიწადში 10% თავისის შემოსავლისას.

ამ რიგად ვხედავთ, რომ სტუდენტების პროექტს სურს დააარსოს ისეთი „საზოგადოება“, რომელიც პირდაპირ აკმაყოფილებს ქართველს საზოგადოებაში თავ-და-პირველად დაბადებულს აზრს და აღძრულს უახლოებელესს საჭიროებას. პროექტში არის შეცდომანი, მაგრამ ისინი წვრილმან საგნებს შეეხებიან და მათი გასწორება დროებითს გამგეობას უნდა მიენდოს. ჩვენ აქ მხოლოდ ერთს გარემოებას აღვნიშნავთ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენმა ახალგაზდობამ სწავლის შესაძენად საზღვარ-გარედ წასვლა იწყო. ეს ფრიად სასიამოვნო და შემდეგისთვის ნაყოფიერი მოვლენა არის და ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ ამ გზით მიმავალთ. სტუდენტების „პროექტის“ სახეში უნდა ჰყავდეს ის მოსწავლე ახალგაზდობა, რომელიც სამშობლოს მოშორებია სწავლის შესაძენად, მხოლოდ მაშინ იქნება წესდება სრული და მისი მიმართულება, მისი საზოგადო პრინციპი დაურღვეველი.

მეორე წესდება (იხ. „ივერია“ № 52), რომელზედაც ბ. ბ. ჯაბადარს და ინასარიძეს აქვთ ხელი მოწერილი, აარსებს „საზოგადოებას,“ რომლის დანიშნულებაა—ქონებრივი დახმარება გაუწიოს კავკასიელ ორივე სქესის ღარიბ მოსწავლეთ. „საზოგადოება“ იძენს თანხას და ეხმარება ქონებრივად მდაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების გაჭირვებულ მოსწავლეთ.“ სწავლის დასრულების და საქმის მოპოვების შემდეგ ის, ვინც სარგებლობდა „საზოგადოების“ დახმარებით, ვალს უხდის „საზოგადოებას.“

უნდა ვსთქვათ, რომ სიტყვა „კავკასიელ“ მოსწავლეთ აქ სრულიად უადგილოა. ქართველი ღარიბი საზოგადოება, რასაკვირველია, ვერ იკისრებს „კავკასიელ“ მოსწავლეთა დახმარებას. შეიძლება, „საზოგადოებამ,“ პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს სრულიად არ მიიღოს მხედველობაში ეს სიტყვა და მხოლოდ ქართველ მოსწავლეებზედ იზრუნოს, მაგრამ, ჩვენის აზრით, წესდებაში ტერმინების არევამ, შესაძლებელია, მომავალში „საზოგადოებას“ სხვა-და-სხვა დაბრკოლება გაუჩინოს. გარდა ამისა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ეჭვი არ არის, რომ სასურველია იმგვარი „საზოგადოება“ გავიჩინოთ, რომელსაც შეეძლოს ზრუნვა ყოველგვარ სასწავლებლებში მყოფ ქართველ მოზარდ თაობაზედ. მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ჩვენის საზოგადოების მატერიალური დაქვეითება და ამის მიხედვით ისეთი საქმე გავიჩინოთ, რომელიც უფრო საჭიროა—უფრო საყურადღებოა. მდაბალ და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე, რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენთან არის, ჩვენ თვალწინ იზრდება, ხშირად თავისსავე ოჯახში, ადგილობრივი საქველ-მოქმედო საზოგადოებანიც ეხმარებიან, ამიტომაც მათი ბედ-იღბალი უფრო ნაკლებ იზიდავს ჩვენს ყურადღებას, ვიდრე ის ახალგაზდობა, რომელიც თავისს სამშობლოს გაშორებია და სწავლის შეძენა ძლიერ უძნელდება არსებობისათვის მწარე ბრძოლის გამო. წესდების შემდგენელნი გვეტყვიან — წესდებაში იყოს მოხსენებული მდაბალ და საშუალო სასწავლებელში მოსწავლე; ჩვენ დავეხმაროთ თავ-და-პირველად უმაღლესს სასწავლებლებში მყოფთ და თუ რამ გადაგვრჩა, მაშინ პირველთაც მივაწოდოთო. ძალიან კარგი, მაგრამ თუ ამ გზას დავადგებით, თუ ამ პრინციპს ვაღიარებთ, მაშინ უმჯობესი იქნება მესამე წესდებას მივმართოთ, რომელშიაც ეს პრინციპი უფრო სავსებით არის გამოსახული.

მესამე წესდება (იხ. „ივერია“ № 68) შედგენილია ბ. ბ. ლ. მგალობლიშვილისა, გ. დიასამიძისა, ა. მიქაბერიძისა და ვ. თარხნიშვილის მიერ. ამ წესდების მიხედვით დაარსებულს „საზოგადოებას“ აზრად აქვს დახმარება აღმოუჩინოს „გაჭირვებულ ქართველთ წლოვანებისა, სქესისა და წოდების განურჩეველად... ამ აზრის განსახორციელებლად „საზოგადოება: ა) ქონებრივს დახმარებას აღმოუჩენს სწავლის დროს გაჭირვებულთ მოსწავლეთ; *) ბ) ეხმარება სხვა-და-სხვა უბედურებაში ჩაცვივნულთ, მაგალითად, შიმშილისა, გადამდებ ავადმყოფობასა, საქონლის ჭირისა, ცეცხლისა, წყალ-დიდობის დროსა და სხვანი... გ) საჭიროების დროს კანონით ნება-დართულ „საზოგადოებათაც“ ეხმარება“... თანხის გაჩენის შემდეგ და როდესაც საჭიროება მოითხოვს „საზოგადოება“ აარსებს საავადმყოფოებს, ერთად საცხოვრებელ სახლებს, იაფ ფასიან სასადილოებს, ჰგზავნის პროვინციაში სანიტარო ღასებს და სხვა-და-სხვა...

ერთის სიტყვით, აქ ვხედავთ ჩვენ ქართულს საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელსაც საგნად აქვს ფრიად რთული და მნიშვნელოვანი საქმე! მეტად მიგვაჩნია განმარტება მისი, თუ რა სასარგებლო და საჭირო იქნება ჩვენის ერისათვის ამგვარის „საზოგადოების“ დაარსება. ეჭვი არ არის, რომ მომავალში, როდესაც ქართველი საზოგადოება უფრო მეტს ღონეს შემოიკრებს, როდესაც საზოგადო მოღვაწეობის მოთხოვნილება იმატებს, ეჭვი არ არის, რომ მაშინ უთუოდ დაგვჭირდება ამგვარის „საზოგადოების“ არსებობა. მის მაგიერ, რომ მაში ხელ-მეორედ შევუდგეთ ახალ-ახალის „საზოგადოების“ დაარსებას, წესდებათა შემუშავებას და წესდებათა დამტკიცებისათვის ზრუნვას, უმჯობესი იქმნება ერთბაშად გავიჩინოთ „საზოგადოება“. მაგრამ იმ მიზეზის გამო, რომელიც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩვენს საზოგადოებას არ ძალ-უძს დღესვე შეუდგეს ასეთს რთულს და მძიმე საქმეს. თუ „საზოგადოება“ ამ გზას დაადგება, მისი მოღვაწეობა განიბნევა, მეტად დანაწილდება და თვალ-საჩინოდ ვერავის აღმოუჩენს საჭირო დახმარებას. ჩვენის აზრით **), საჭიროა არ დავივიწყოთ, ხელიდამ არ გავუშვათ უმთავრესი საგანი, რომელმაც გამოიწვია წესდებათა შედგენა—ესე იგი—სტუდენთა დახმარება და ამასთანავე სავსე და რთული „წესდებაც“ ვიქონიოთ, რადგანაც იგი მომავალში უთუოდ გამოგვადგება. ამისთვის ამ წესდებას უნდა მიემატოს ერთი მუხლი, რომელიც დაუსახავს „საზოგადოებას“, რომ თავ-და-პირველად მან მხოლოდ იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, მისთვის იზრუნოს და იმეცადინოს, რომ საფუძვლიან ნიადაგზედ დაამყაროს საქმე დახმარების აღმოჩენისა იმ მოზარდ თაობისთვის, რომელიც სწავლის შესაძენად უცხო ქვეყანაში გარდახვეწილა.

იმ კრებამ, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება მოწვეული, ჩვენის ფიქრით უნდა განიხილოს, რომელის ტიპის საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდება უფრო ივარგებს ჩვენში და აგრეთვე უნდა აირჩიოს დროებითი გამგეობა, რომელსაც მიენდობა წესდების უკანასკნელი რედაქცია, ზრუნვა წესდების დამტკიცებისათვის და „საზოგადოების“ დაარსებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცნობილი ქართველი მოღვაწენი გულგრილად არ დახვდებიან ახალს საქმეს, დახმარებას აღმოუჩენენ საქმის გულ-შემატკივართ და ინიციატორთ!

ლალი.

*) ამ მუხლში, როგორც ვხედავთ, გამოხატულია ბ. ბ. ჯაბადარის და ინასარიძის წესდების დედა-აზრი, მაშასადამე მათ მიერ შედგენილი წესდება შეადგენს ერთს ნაწილს ამ უფრო რთულის წესდებისას.

**) ზოგიერთი გარემოება გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ამავე აზრისა არიან „პროექტის“ შემადგენელნიც; ერთს კერძო კრებაზედ იგივე აზრი გამოსთქვა ბ-ნმა მაიაშვილმაც.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 15 აპრილს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, დილის 11 საათზედ, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მწერალის ქალის კნ. ბარბარე ჯორჯაძის სულის მოსახსე-

---

მიზეზი ისეც აშკარაა და ნათელია, მეორე, იმიტომაც, რომ „საქმემან ჩემმან მამხილოს მეო“.

ჩვენდა უნებურად გვაგონდება შილლერის ნათქვამი: „მე სათნოებისათვის მხოლოდ ერთი საზომი მაქვს და, ჩემის აზრით, ნამდვილი, ჭეშმარიტი საზომიცა: ჩემს მოქმედებას კარგი შედეგი მოჰყვება საზოგადოებისათვის, თუ ავი,—აი ის საზომი, რომლითაც ყოველი სურვილი ადამიანისა გაიზომებადა გაისინჯებაო“. რაღა თქმა უნდა, რომ „არა შეჰკრიბიან ეკალთაგან ყურძენი, ანუ კუროსთავთაგან ლეღვი“ და როგორც „ვერ ხელეწიფებისა ხეს კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, ისე არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“. ამიტომაც აშკარაა, რომ სრულიად კეთილი საქციელი მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლიან, ვისაც განათლებული ჭკუა და გული აქვს.

დიაღ, ეს ერთი უწინასიტყვაობო წიგნი ბევრს რასმე გვეუბნება იმის დამსტამბველის ავ-კარგიანობისას. წიგნს თითქოს ზედ ბეჭდად, დამღად დასმია კეთილი სურვილი დამსტამბველისა, მისი უანგარობა, მისის ჭკუისა და გულის განათლებულობა, მისი წადილი საერთო ბედნიერებისა და ამ ბედნიერებისათვის მსხვერპლის მოტანისა.

აგერ მეორე წიგნიც—„აკაკის ნაკვესები“. ეს წიგნაკი პირველთან შედარებით გარეგნობით თითქმის სახსენებელიც არ არის, ისეთი პატარაა. პირველს თუ ძლიერი ქარიც ძნელად დასძრავს, მეორეს—უბრალო ნიავი, ნიავი-კი არა, ადამიანის ღონიერი აღმოოხვრაც ერთიანად ჰაერში აიტანს და ცხრა მთას იქით გადასტყორცნის*). მაგრამ სიდიდეს რა მნიშვნელობა აქვს, საქმე შინაარსია: პაწია მარგალიტს უშველებელს თალლითში არავინ გასცვლის. შინაარსის მხრივ-კი იგი ფრიად შესანიშნავია და ყოველი ადამიანი, ვინც-კი ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, ვალდებულია იმისს შინაარსს ასე თუ ისე ანგარიში გაუწიოს.

უპირველეს ყოვლისა ეს პაწია წიგნაკი ჩვენ მიერ პირველად დასახელებულ ბ-ნ ვ. მ. ყიფიანის დიდის წიგნისაგან იმითი განირჩევა, რომ ამას „წინასიტყვაობა“ აქვს დართული. წინასიტყვაობა თვით მწერალის, ან შემდგენელის საკუთარს შესავალს შეადგენს და თითქმის, უმეტესად, იმიტომ იწერება, რომ დამწერ-დამსტამბველმა განმარტოს იმ წიგნის მნიშვნელობა, რომელსაც თავისი სიტყვა წარუმძღვარა. პირველის წიგნის შემდგენელს თუ უფიქრია, რომ ვინც წიგნს წაიკითხავს, ის მნიშვნელობასაც მიხვდება და მე-კი სათქმელი არა მაქვს-რაო, თვით „საქმემან ჩემმან მამხილოს მეო“, როგორც ვსთქვით,—მეორე სულ სხვა აზრისა ყოფილა: თ. სახოკიას თავისის პაწია წიგნაკის 63 პაწია ფურცლიდგან ექვსი ფურცელი წინასიტყვაობისათვის მოუნდომებია. ამ წინასიტყვაობაში იგი აკაკის ნიჭიერს უწოდებს, რაც, რასაკვირველია, უიმისოდაც ყველამ იცის; თავის მიერ დაბეჭდილს ნაკვესებს-კი „ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს“ ეძახის.

„ჩვენ (თ. სახოკიამ) განვიზრახეთ ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტთა თავი ერთად მოვუყაროთ და ცალკე წიგნაკებად დავბეჭდოთო“.

ჩვენც წაგვიტყუა ამ სიტყვებმა და გადავფურცლეთ წიგნაკი, რომ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებით დამტკბარიყავით. ვიდრე საზოგადოდ ვიტყოდეთ რასმე თვით შინაარსისას უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნს სახოკიას სრულიად აურ-დაურევია და უბრალო ნაკვესების შედგენაც-კი არა სცოდნია. ამ აკაკის ნაკვესებში ბევრი ისეთია, რომ აკაკის სულ არ ეკუთვნის, მაგრამ იმის სახელი აქვს მიკვესებული, მაგალითებრ, მე-9 და მე-55 გვერდზედ დაბეჭდილნი; ზოგი აკაკის შესახებ არის ნათქვამი, მაგრამ სხვათაგან; ზოგს არავითარი მარილი არა აქვს სიტყვა-მოსწრებულობისა და უხამსად არის ნათქვამი, სულ ერთია, ვისიც უნდა იყოს, მაგალითებრ მე-57-58 გვერ. დაბეჭდილი; ზოგი ყოვლად წარმოუდგენელია, რომ აკაკის ეკუთვნოდეს და ზოგიც... მაგრამ ამათ შესახებ შემდეგ.

მე-41 გვერდზედ დაბეჭდილია ასეთი „ნაკვესი“:

„აკაკის ჩაი მიართვეს სამეგრელოში. შაქარი დაჰფიწყებოდათ, თუ როგორღაც იყო, აკაკიმ ზედი-ზედ ერთისა და იგივე (იმავე თუ უნდოდა ეთქვა.) ქიქისათვის სამჯერ მოითხოვა შაქარი.

„— რამდენიც უნდა შაქარი ჩააგდო, რაკი შენი ენა მოხვდება, გამწარდებაო,—უთხრა პოეტს მასპინძლის ახალგაზდა ქალმა“.

აბა ახლა გვიბძანეთ, აქ რა უნაკვესნია აკაკის? აკაკი ან რაშუაშია და ან ამისთანა „ნაკვესის“ ჩართვა შეიძლება განა იმ წიგნში, რომელიც აკაკის სურათითა და „აკაკის ნაკვესების“ სახელით იბეჭდება? აკაკის აქ მხოლოდ შაქარი ჩაუყრია რამდენჯერმე ჭიქაში და თ. სახოკიას ეს შაქრის ჭიქის ძირში რაკუნი ნაკვესად მოსჩვენებია. აქ თუ ნაკვესია ვისიმე, ისევ აკაკის მასპინძლის ახალგაზდა ქალისა და იმას ვერავინ გამოსწირავს.

წიგნაკის მე-59 გვერდიდგან მე 63 გვერდამდე დაბეჭდილია დამატებად ვიღასიც ვითომ-და მოსწრებულად ნათქვამი სიტყვები, რომელთ შესახებ არას ამბობს თ. სახოკია, აკაკისაა, თუ არა. თუ სათაურს მივყვებით წიგნაკისას, უეჭველად აკაკისად უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ჩვენ გავბედავთ და ვიტყვით, რომ იგი თვით თ. სახოკიას უნდა ეკუთვნოდეს და არამც და არამც არა აკაკის, და აი რადა:

ამ დამატებაში, სხვათა შორის, სასაცილოდ არის აგდებული ბ-ნი გ. წერეთელი და ჟურნალი „კვალი“. ყოვლად დაუჯერებელია, რომ აკაკიმ, რომელიც ამ ჟურნალში ჰმუშაობს და ბ-ნ გ. წერეთელთან ერთად თანამშრომლობს, თვით გ. წერეთელს და „კვალს“ დაცინვით ასეთი ეპიტეტები მიჰკეროს:

„ქვეყნის სიქადული, ჩვენი დიდება, ჩვენი პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგოსი, პალეოგრაფოსი და პოლიტიკოსი, რომელიც წელებზედ ფეხს იდგამს, აულია თავისი ა რ ღ ა ნ ი (ზრდილობიანობაა, მა რა ჯანდაბაა!) და გაჰკივის: მე ვარ, რაცა ვარ, მეთაური მესამე დასისა, შემაერთებელი ჰაიოსტანისა და ვრაცისტანისა და უპირველესი კანდიდატი ტფილისის მოურავის ადგილისაო“ (კანდიდატი ადგილისაო?!).

ან კიდევ „კვალს“: „ქრომო-პნევმო-პოტო-ტიპო-ლიტოგრაფიული სამეცნიერო ყვერული“ დაარქვას.

ამ ამონაწერის უქართულობას ვინა სჩივის, უზრდელობა და არა საკადრისობაა სანაღვლელი, თუ არ დაივიწყებთ, რომ წიგნი შემკულია არლანჩიკის შენიშვნებით და ვიღაც მეოთხე დასელის ნატვრით (თვით თ. სახოკიასი თუა?), რომელიც ისეთის ლექსიკონით არის შეზავებული, რომ იმის ბაგიდგან ამოშვებას კინტოც იუკადრისებს.

ვიმეორებთ, ამ დამატებაში აკაკისა არაფერია, იგი თავით ბოლომდე თვით თ. სახოკიას შინაგან ბუნების ნაყოფია და დიდი ცოდვაა, რომ პატივცემულს მწერალს ვინმემ ასეთი უკადრისობა აქმნევინოს. რა-კი ასე

*) აქ საჭიროდა ვსთვლით ორიოდე სიტყვა ფასის შესახებაცა ვსთქვათ. ბ-ნ ვ. რ. ყიფიანის წიგნის თითო გვერდი თ. სახოკიას წიგნაკის ოთხი გვერდი გამოვა, ალგებრა შეიცავს 678 გვერდს და ღირს ექვსი აბაზი, „ნაკვესები“ შეიცავს 63 გვერდს, ხოლო ალგებრისთანას-კი 16 და ღირს ერთი აბაზი. ამ ანგარიშით ალგებრიდგან 42 „ნაკვესისთანა“ წიგნაკი გამოიჭრება და ბ-ნს ვ. რ. ყიფიანს რომ თ. სახოკიას წიგნაკის ფასის კვალობაზედ დაედო ფასი თავისის წიგნისათვის იგი 8 მან. 40 კაპ. უნდა ღირებულიყო; ხოლო თ. სახოკიას-კი რომ ვ. რ. ყიფიანისთვის მიებაძნა, მაშინ „აკაკის ნაკვესების“ სამართლიანი ფასი ½ კაპ. იქნებოდა. თუ სახეში იქონიებთ გამოცემის რაოდენობას და დანახარჯის დაბრუნების ვარაუდს, ამ მხრივაც უპირატესობა თ. სახოკიას წიგნისაკენ არის. ამ გვარად, აშკარადა სჩანს, რომ თ. სახოკიას ანგარიშით დაუსტამბია თავისი წიგნაკი და ერთი ორმოცად მეტი ფასი დაუწერია რამდენადაც ვ. რ. ყიფიანის წიგნის ფასი უანგარობას ამჟღავნებს წიგნის დამსტამბველისას, იმდენად თ. სახოკიას წიგნაკი იმის ანგაარებას, ჯიბის ავსების სურვილსა ჰმოწმობ. ჩვენის აზრით, „ნაკვესების“ ამ შინარსით დასტამბვის ფარულს მიზეზს მისივე ფასი ცხადად ჰყოფს და თ. სახოკიას განზრახვას საიდუმლოების ფარდასა ჰხდის.

შენიშ. ავტ.

ნებლად, რომელსაც დაესწრნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და აგრეთვე ერთის ადგილობრივ რუსულ გაზეთის „ნოვ. ობოზრ."-სი. ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ უფრო მეტი დაესწრებოდა, რომ ცუდი ამინდი არა ყოფილიყო.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისიდგან ჩვენი ცნობილი არტისტი კოტე მესხი, რომელიც აქაურს ქართულს წარმოდგენებში მიიღებს მონაწილეობას. ამას გარდა, ბ-ნს კოტე მესხს, როგორც შევიტყეთ, განზრახვა აქვს რამდენიმე წარმოდგენა გაჰმართოს ტფილისში ქ-ნ ე. ს. მესხის მონაწილეობით ქუთაისის დამწვარ თეატრის გარდერობის განახლების სასარგებლოდ.

*** 1, 9 და 10 პოლიციის ნაწილებში უკანასკნელს დღეებში რამდენიმე ბავშვი ყვავილით ავად გახდა. ახლა, როგორც „ნოვ. ობოზრ." ამბობს, ქალაქის ექიმთ დაავალეს, დაიარონ ხსენებულის ნაწილების ყველა ოჯახები და, სადაც აღმოჩდება ყვავილ-აუცრელი, უთუოდ აუცრან.

*** ივანე გრიგოლის ძემ შანშიევმა შემოსწირა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ბიბლიოთეკა თავის მამისა გრიგოლ იოსების ძის შანშიევისა, რომელიც, როგორც ვიცით, აღზრდილი იყო ბატონიშვილის ფარნავაზისა და ყველასგან კარგად ცნობილი მოღვაწე და ერთგული მამულის შვილი თავის სამშობლოისა. ერთხელ ქართულის გამოცემების ცენზორადაც იყო. შემოწირული ბიბლიოთეკა შესდგება სამას ცხრა სხვა-და-სხვა სახელწოდების წიგნისაგან, ანუ ხუთასზედ მეტის ტომისა და მათ შორის მოიპოვებიან ძვირფასი ლექსიკონები, დაბეჭდილი ტექსტები აღმოსავლეთის სხვა-და-სხვა ენებზედ, თხზულებანი რუსეთისა და საზღვარგარეთის ავტორებისა და სახელმძღვანელოები თითქმის გიმნაზიის ყველა კურსის საგნებისა. ეს წიგნები ძვირფასს განძს შეადგენს სათავად-აზნაურო სკოლისათვის და გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის" და მმართველობა სკოლისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველს ასეთის ძვირფასის შემოწირულებისათვის.

*** გაზეთ. „ნოვ. ობოზრ."-ს სიტყვით, კავკასიის ადმინისტრაცია ამ ჟამად იმის განხილვაშია, თუ როგორ გაამრავლონ პირველ-დაწყებითის, სახალხო სკოლების რიცხვი, რომელთ რაოდენობა არ აკმაყოფილებს თურმე დღევანდელს მოთხოვნილებას. უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, რომ ერთი სახალხო სკოლა ამიერ-კავკასიაში 14,500 სულზედ მოდის; კერძოდ ერთი სკოლა მოდის: ქუთაისის გუბერნიაში—7,900 სულზედ. თფილისისაში—9,900, განჯისაში—20,900, ბაქოსაში—22,000, ერევნისაში—26,000, ყარსის ოლქში—30,000 სულზე და დაღესტნისაში 60,900—სულზედ. აქედგან სჩანს, რომ ყველაზედ მარჯვეთ სკოლების გამართვის საქმეში ჯერ ქუთაისის გუბერნია ყოფილა, მერე ტფილისისა, სხვა კავკასიის გუბერნიები-კი მეტად ჩამორჩენილან უკან საქართველოსთან შედარებით.

*** პეტერბურგიდგან აუწყებენ გაზეთს ნოვოე ობოზრენიეს", რომ უმაღლესის განკარგულებით, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ამ მოკლე ხანში გამოგზავნის შავის ზღვის ოლქში კერძო ექსპედიციას. ექსპედიციამ უნდა გამოიკვლიოს ამ ოლქის მთიანი და შუა ნაწილები. საგანი ამ გამოკვლევისა არის შეკრება გამოსადეგ ადგილებისა რუსეთიდამ გადმოსახლებულთა დასასახლებლად, რომლისათვისაც ექსპედიციამ უნდა აღნიშნოს: 1) ადგილები, რომლებზედაც მთიელთა სოფლები იყო გაშენებული, 2) ადგილები გამოსადეგი სამუშავებლად, 3) ტყეები, რომელნიც, თავის ადგილ-მდებარეობით, საჭირონი იქნებიან ჰავის გავლენით მიდამოზედ, 4) რამდენია საჭირო თითო სულზე მიწა, მიხედვით სხვა-და-სხვა სამეურნეო გარემოებათა და ადგილობრივ ჰავისა, 5) ადგილები სოფლების გასაშენებლად, სივრცე მათი და რიცხვი ხალხისა, რომელიც შეიძლება დაეტიოს ამ ადგილებზედ, 6) ადგილები სოფელ, გარეთ, ბაღ-ბოსტნების გასაშენებლად, 7) რამდენი ფული მოუნდება ამ ადგილების შემუშავებას, 8) გზები, ეტლითა და ფეხით სასიარულონი, სიგძე ამ გზებისა და ფული მათ გასაკეთებლად, 9) დახმარება გადასახლებულთათვის, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, მ. გ. ხე-ტყით ფულით, შეღავათით ფოშტის ფულში, ან ჯარში გასვლაში.

*** ქიზიყი: თბილმა ჰაერმა ვაზის კვირტი ადრე გამოიტყუა; აპრილის კვირაში-კი თოვლ-ჭყაპი მოვიდა და მოულოდნელმა სიცივემ დიდი ზარალი მისცა წიდნა-ვაზს, რომელიც ბალახით იყო მოსილი. დაბურული და გამარგლული ვენახების წიდნა-ვაზი-კი უვნებლად გადარჩა, რადგანაც წიდნა მაღლე გამოაშრო მზის თვალმა და ღამის სუსხიანმა სიცივემ ვეღარ გაუკრინჩა ნორჩი ყლორტები.

*** ქუთაისი: დღესაც არ ვიცით, გვეღირსება როდისმე აქაურებს სცენა, რომ ქართულს წარმოდგენებს კიდევ ვეღირსნეთ. თუმცა საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით სამჯერ დაადგინა, რომ ხარაზოვისეულ თეატრის შენობა გადავაკეთოთ, სასცენოდ მოვაწყოთ და გავალამაზოთ ქალაქის ხარჯითაო, მაგრამ ქალაქის გამგეობა დღემდის ყურს არ იბერტყავს და, როგორც ეტყობა, გულითაც არ არის, ამ სასარგებლო საქმის განხორციელებას ხელი მიჰყოს. ნუ თუ საბჭოს გარდაწყვეტილება არ უნდა აღსრულდეს და იგი უნდა გააფუჭსავატოს რამდენიმე კაცის „არ მინდამ", იმ კაცებისამ, რომელნიც კენჭითვე არიან ამორჩეულნი და საბჭოს გარდაწყვეტილებათა აღმასრულებლად დადგენილნი? იმედია, ამ გარემოებას ქუთაისის საბჭოს ხმოსნები ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ და ურარაოდ არ ჩაატარებინებენ გამგეობას საბჭოს დადგენილებას.

## კორესპონდენცია.

**ს. ჯურუყვეთი,** (გურია). მე მინდა ცოტა რამ ჩვენებურის გზის შესახებ ვსთქვა. რა ჰქნას გლეხმა, როდესაც ნაოფლარი ჭირნახული გზების უქონლობის გამო ურჩება გაუსყიდველი. მას არ შეუძლიან წაიღოს ჭირნახული ქალაქში, ანუ რკინის გზის სადგურზედ, პირდაპირ მიჰყიდოს ვაჭარს, რომელიც თითო-ოროლა გროშს მეტს აძლევს ჭირნახულში და არ ჩაუვარდეს სოფლად მატანტალა ჩარჩებს. გლეხები იძულებულნი არიან მათის საჭიროებისათვის, თუმც რომ ნახევრის ფასად გაჰყიდოს, მაინც უნდა გასცეს, მხოლოდ მოიშოროს კი თავიდგან. თუმცა-ღა ესრეთი ნაკლი ყველასათვის საგრძნობელი იყო, მაგრამ დღემდის თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გურიაში სრულებით არ იყო რიგიანი სასოფლო გზები. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, იყო პოლიციის მოხელეების დაუდევრობა; ეხლა-კი, როდესაც გაგვიწესეს ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია, მან, დაინახარა ეს დიდი ნაკლი საზოგადოებისა, მაშინვე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და დაავალა ყველა მამასახლისებს, რომ გაეკეთებინათ გზები. ამნაირმა მისმა მეცადინეობამ კიდევაც მოიტანა ნაყოფი: ყოველგან გაკეთდა თითო-ოროლა სასოფლო გზები და ეხლაც კეთდება, მხოლოდ, სამწუხაროდ, ერთი ჯურუყვეთის საზოგადოება არის გამოტოვებული და დავიწყებული.

მთელს ჯურუყვეთში, რომელშიაც სცხოვრობენ ოთხას კომლზედ მეტი, არ არის ერთი რიგიანი გზა. ასე წარმოიდგინეთ, რომ ერთის მოსახლიდგან მეორე მოსახლისას ყოვლად შეუძლებელია მისვლა არა თუ ურმით, არამედ ცხენითაც! ორი წელიწადი იქმნება, რაც რომ ამ საზოგადოებაში გაიხსნა რკინის გზის სადგური „ჯუმათი", სადაც ღებულობენ წასაღებ და მისატან საქონ-

---

გავარჩიეთ, ვისი რა არის ამ წიგნში ჩართული, ეხლა ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ზოგიერთ იმ ნაკვესის შესახებ, რომელიც თვით აკაკის სახელით არის დასტამბული.

ამ „ნაკვესებში" ბევრი ისეთია, რომ ადამიანს ჯერ გააოცებს, მერე აწყენს და დასასრულ წიგნაკს გადააგდებინებს. უბრალო ზრდილობა და თავაზიანობაც-კი არ არის დაცული ამ „ნაკვესებში", თორემ მართებულობას ვინ მოითხოვდა, იმ მართებულობას, რომელიც აუცილებლად სავალდებულოა ყოველის საზოგადო საქმისათვის და მეტადრე დასტამბულ სიტყვისათვის. ეს „ნაკვესები"-კი არა, შაირებია, უხამსი, ურიგო, უკადრისი, უწმაწური, პირ-ახეულად ნათქვამი შაირები, რომელთა გაგონებაზედ ქუჩაშიაც-კი მართებული ადამიანი ყურს აარიდებს და ფეხს აუჩქარებს, რომ ჩქარა გავიარო და არა გავიგონო-რა სმენისათვის საჩოთიროო. აი, ასეთი შაირები ერთ კონად არის ამ პაწია წიგნაკში შეკრული და ლამაზად დასტამბული, რომ უფრო უკეთ შეიძლოს გავრცელება ხალხის განსარყვნელად და ზნეობის გასათახსირებლად. ჩვენ ვერ გავბედავთ ამ „ნაკვესების" ამოწერას, მაგრამ რომ ლიტონ სიტყვად არავინ ჩამოგვართვას ეს ნათქვამი, იმათთვის, ვისაც წაუკითხავს, ან ვინც ამიერიდგან იმდენად თამამი იქნება, რომ იყიდის და წაიკითხავს, აღვნიშნავთ იმ ადგილებს, სადაც ეს ნაკვესებია წიგნაკში დაბეჭდილი. იხილეთ: მე 8, 12, 13—14, 17—18, 19—20, 43—44, 48—49 გვერ. და სხ.

ვიმეორებთ, გააოცებს ადამიანს ასეთი უმართებულო, ასეთი წრესგადასული სიტყვა პასუხი, მერე საზოგადოდ, დასტამბვით გამოთქმული, ბაზარში, საქულბაქოზედაც-კი იშვიათად გასაგონი. ამ ფურცლებში თავიდგან ბოლომდე ერთი უშვერი ლანძღვა-გინებაა, დიდის თავ-ხედობით ნათქვამი, რომლისათვისაც ადამიანს სინიდისიც უნდა სჯიდეს და საზოგადოებაც ჰკიცხავდეს.

ეხლა ვიკითხოთ: ნუ თუ ეს თ. სახოკიასათვის „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები" აკაკის ბაგეს ანუ კალამს ეკუთვნის? დასაჯერებელია, რომ ყველას საყვარელმა მწერალმა ასე ჰკრას წიხლი იმას, რაც მანვე საკუთარის ნიჭით შექმნა და უკვდავ ჰყო? რასაკვირველია, არა და ათასჯერ არა. ან-კი რა საფიქრებელია, მეტყვის მკითხველი. ოღონდაც, რომ საფიქრებელი არ არის და არცა ვფიქრობ, ჩემო პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მე მინდა, რომ არც მიზეზი იყოს ხელ-დასახვეველი, ასეთის ფიქრის გამომწვევი მიზეზი, და ამიტომ მიკვირს: აკაკი რადა სდუმს აქამდის, რატომ თამამად არ გამოვა და არ უარ-ჰყოფს ამ უწმაწურის ენით შეთითხნილსა და იმის სახელით დასტამბულს შაირებს?! მან უეჭველად უნდა აიყაროს ეს ბრალი, ამას საზოგადოებაც ავალებს, თავისი ლიტერატურული თავ-მოყვარეობაცა და ადამიანური მართებულობაც...

იქნება პატივცემულს მწერალს იმ ჟურნალის იმედი აქვს, სადაც იგი ჰშრომობს, და გულში ამბობს, ის გამოესარჩლება ჩემს ასე უკადრისად შელოლულს სახელსაო. ეს იმედი ტყუილია, რადგან „კვალმა" აი რა სიტყვები უძღვნა ამ წიგნაკს:

„ჩვენ იმ უწმაწურს ნაკვესებს მკითხველს ვერ ვაკადრებთ წასაკითხათ (დ). ვისაც ცნობის-მოყვარეობა აქვს, მივუთითებთ წიგნაკის მერვე გვერდზე და დამატებაზე. არ ვგონებ, ასეთი უშვერი ზმა და ლანძღვა-გინება აკაკის ენას ოდესმე წარმოეთქვას. ეს უფრო სახოკიასებური უნდა იყოს. მაგრამ გონიერი რომ უგნურს ხელში სამართებელს მი(ს)ცემს, ნულარ დაემდურება, თუ უგნურმა პირველათ (დ) იმ გონიერსვე გამო(ს)ჰკრას ყელი".

როგორც ჰხედავთ ამ ამონაწერიდგან, „კვალმა" ჯეროვანი სარჩლი და სამსახური ვერ გაუწია თავისს სულის ჩამდგმელს თანამშრომელს. ჯერ ერთი, „კვალს" უწმაწური და უშვერი მარტო წიგნის მერვე გვერდი და დამატება ჰგონია. დანარჩენი, მაშასადამე, „კვალის" აზრით, დიდად მართებული ყოფილა. ჩვენ-კი მოვახსენებთ პატივცემულს ჟურნალს, რომ ჩვენ მიერ დასახელებული ადგილები არც ერთის პატიოსანის კაცისაგან და არც ერთს მართებულს ოჯახში სათქმელი და გასაგონი არ არის. უცნაურად სცოდნია „კვალს" უშვერის არა-უშვერისაგან გარჩევა!

მეორე: რას ჰნიშნავს სიტყვები: „არა ვგონებ... აკაკის ენას ოდესმე წარმოეთქვასო"? თითქოს „კვალს" ის უნდა სთქვას: „არა ვგონებ", მაგრამ იქნება, ვინ იცისო, ეს „არა ვგონებ"-ი ჩვენ, კი არა გვგონია, ნამდვილად იმას გვაფიქრებინებს, რომ „კვალი" ეჭვობს, დაჯეშმარიტებით ვერ უთქვამს, აკაკის ეკუთვნის ეს ნაკვესები, თუ არა.

მესამე: რა არის ეს სიტყვები „:გონიერი რომ უგნურს სამართებელს მიცემს, ნულარ დაემდურება"? რა სამართებელია, რომელიც გონიერმა აკაკიმ უგუნურს სახოკიას მისცა? ეს სიტყვები თითქოს უფრო კვერსა სცემს, რომ ეგ უწმაწური ნაკვესები, მართლაც, აკაკისა ყოფილა, აკაკის მიუცია თ. სახოკიასათვის და იმას დაუსტამბია. აი, ასე ნისლსა და ბურუსშია გახვეული ყოველთვის „კვალის" სიტყვა-პასუხი, მაშინაც-კი, როდესაც სანისლ-ბურუსე არა არის-რა.

„კვალის" ასე ჰო-არად ნათქვამ სიტყვის შემდეგ აკაკი უეჭველად ვალდებულია გადაჭრით განაცხადოს თავისი სიტყვა და მკითხველებს განუფანტოს ის ეჭვი, რომელიც, თ. სახოკიას მიერ დასტამბულმა ნაკვესებმა კი არა, ჟურნალმა „კვალმა" დაჰბადა იმის შესახებ.

მაგრამ ვიდრე აკაკის ამ სიტყვას გავიგონებდეთ, წარმოვიდგინოთ, თუმცა ძნელად წარმოსადგენია,— რომ ეს ნაკვესები მართლაც იმას ეკუთვნის და იმან გადასცა „ვინღაც სახოკიას", როგორც „კვალი" უწოდებს. კარგი, თუნდა ასეც იყოს, მაგრამ მის დასტამბვას და ამ უშვერ, უწმაწურ სიტყვა-პასუხის „ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებად" დარქმევას რაღა ვუწოდოთ? უვიცობა, უგუნურება, თუ ადამიანის გარყვნილის ბუნების ნაყოფი?! თუ უგუნურების შედეგია, რასაკვირველია, ასეთი კაცი მოსარიდებელია და ოღონდაც დიდი შეცდომა მოსვლია ჩვენს პოეტს, რომ ასეთის უგუნურის ხელში ჩაუგდია თავისი ნაკვეს-შაირები. ხოლო თუ თ. სახოკია მაინცა და მაინც გონიერებას დაიჩემებს, სჩანს, რომ ეს შაირები მართლაც „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები" ჰგონია. თუ მეორე აზრს დავადექით, სწორედ მოგახსენოთ, ეგ „ვინღაცა" სახოკია ბუნებით მახინჯი და დუხჭირი ყოფილა და არც ერთს ოჯახში შესასვლელ-შესაშვები არ არის. ევროპაში ასეთს ადამიანს „ზნეობის გამასწორებელ თავ-შესაფარში" გაჰგზავნიან და თავისუფლად-კი არ ატარებენ, რომ მწერლობაში გამოვიდეს საბურთაოდ, ბურთად უწმაწური შაირები იხმაროს და აზრად იმათი გავრცელება ჰქონდეს.

ასეთი მაგალითი ჩვენში პირველია და, როგორცა სჩანს, უკანასკნელი არ იქმნება. „ვინღაც" სახოკია, ამ პირველს წიგნაკს გარდა, შემდეგს წიგნაკებსაც გვპირდება, აკაკის სახელით დასაბეჭდელს. აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ყოველის მხრივ ხელი შეეშალოს. საკვირველი და სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, ამ წიგნაკის უკანასკნელს გვერდზედ დაბეჭდილია განცხადება:

„მალე გამოვა გასასყიდად თ. სახოკიას მიერ შედგენილი **ქალები**" (?!!).

წარმოიდგინეთ, რანი, რა ფერისა და ზნისანი უნდა იყვნენ „ვინღაც" სახოკიას მიერ შედგენილი ქალები (?), იმ სახოკიასი, რომელიც უწმაწურ, უშვერ, ლანძღვა-გინებით შეზავებულს, შაირებს „ხელის-ხელ საგოგმანებელს მარგალიტებს" უწოდებს. შორს ჩვენგან ასეთი „შედგენილი" ქალები, შორს ჩვენგან ის „ნაკვესები", რადგან „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების" და ამ ბატონმა-კი უკვე გვაჩვენა რა ზნისა და ბუნებისაცა ბრძანებულა!..

რუსეთშიაც იყო ერთი ასეთი მწერალი—„ბარკოვი", მაგრამ „ბარკოვშჩინა", როგორც რუსები უწოდე-

ელს და ბილეთებიც იყიდება, მაგრამ არავითარის საშუალებით არ შეიძლება ამ სადგურზედ მისვლა არც ურმით და არც ცხენით უგზობის გამო. ამის გამო გლეხ-კაცობა იძულებული არის თავისი გასასყიდი, ყველაზედ მეტი სიმინდი, წაიღოს რვა ვერსტის სიშორეზედ დაბა ლანჩხუთში ანუ წყლით ფოთში, რომელიც ძლიერ საშიში არის და რომლის მიზეზით არა ერთი კაცი გამხდარა ადელვებულის წყლის მსხვერპლად.

თუმცა-და მრავალ გზის მიჰმართეს ამაზედ თხოვნით მაზრის უფროს და სთხოვეს საშუალება გზების გაკეთებისათვის, მაგრამ ყოველივე თხოვნა დღემდის ამაოდ რჩება და ვისაც რამე შემთხვევით მოუხდება ჯურუყვეთის საზოგადოებაში გავლა, ის უეჭველად ჯოჯოხეთურს წვალებაში გაივლის. სასურველია, რომ ამის მაზრის უფროსმა მიაქციოს ყურადღება. ძლიერ კარგს იქმოდა, რომ თითონ ერთხელ მაინც ინახულებდეს ამ საზოგადოებას და მაშინ-კი დარწმუნდება, თუ რა გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი მცხოვრებნი და მაშინ სრულს იმედს ვიქონიებთ, რომ ჯურუყვეთსაც ეშველება-რამ.

დიმიტრი გიგინეიშვილი.

**P. S.** ამ ვითამ წერილს რომ ვჯღაბნიდი, დიდს აღტაცებაში ვიყავი მით, რომ ვითომ ამ წერილით მთელის ჯურუყვეთის საზოგადოების საქმე წინ წავსწიე — მისავალ-მოსავალი გზებიც გავაკეთე, იმ დროს ერთი მღვდელი შემოვიდა უცებ ჩემს ოთახში, თავი დამიკრა, ქრისტეს აღდგომის დღე მომილოცა — მე მადლობა მოვახსენე და თან სკამიც მივართვი. მან სკამზედ უწინ ამ წერილისკენ გაიწია. აიღო და წაიკითხა. ამ კითხვის დროს მე ფერი ათასჯერ მეცვალა, ვიფიქრე ეს მღვდელი სასაცილოდ აგიღებს მეთქი და იტყვის, სად დიმიტრი და სად კორესპონდენცია. წაიკითხა და ეს სიტყვები კაკალ-გულზედ მტკუცა: „ყოველს ცხოველს უყვარს თავისი მზგავსი და ყოველს კაცს უნდა უყვარდეს თავისი მოყვასი“. შე, კაი კაცო, ჯურუყვეთის საზოგადოების გაჭირვებას რომ ატყობინებ ქვეყანას, რა გიჭირდა ღვთის გულისათვის ჩოჩხათის საზოგადოება, შენი მეზობლები, მოგეხსენებინა ამ წერილში. თქვენს გზებზედ „გაკაპიწებული“ ფეხოსანი მაინც-კი გაიარს და ჩოჩხათს-კი შეშინებული ლორიც ვერ გაეტევა სასოფლო გზებზედ... ვაი, ჩვენს მოხელეებსო, თან დაატანა ოხვრით მღვდელმა და მეტიც აღარ შეუცდია, თავისს სახლში მიეშურებოდა და მე-კი ამ ჩემს ძვირფას წერილის ფ—სტაში ჩასაგდებად წაველი დიდის თავ-მოწონებით, რადგანაც ხელში მეჭირა ერთოვნების წარმატების საბუთი.

დ. გ.

## გმირის ღიღინი.

(ვუძღვნი ჩვენს მომღერლებს)

არ დავდებ ფარ-ხმალს ბრძოლისას,
გინდ მარტოც დავრჩე მკვდოვანი,
თუნდ აღარ მყვანდეს მოსარჩლედ
ბალანაც ძუძუ-მწოვანი,
შხამს ვასმევ უსამართლობას
თავ-განწირული მხცოვანი,
ვიბრძოლებ კუბოს კარამდე,
ვიდრე მაქვს ჰკვა და ხსოვანი!..
შავ-ბედო, მე ვერ დამჩაგრავ,
ლომი ვარ ძალ-გულოვანი,
რად მინდა თუ არ საგმიროდ
სიცოცხლე მოკლე-ხნოვანი;
ცამაც რომ მეხი მაწვიმოს,
არ მინდა არვის გლოვანი:
ქედ-მოუხრელად ვიდგები,
ვით მუხა ათას-წლოვანი!..
რად მინდა მტლის ცხოვრება:
ტკბილი სიმსუქნის წოვანი,
მე, ძმავ, სიკვდილი მწყურიან,
სიკვდილი სახელოვანი!..

დ. მაჩხანელი.

---

ბენ, მალვით დადიოდა, ხელ-ნაწერებით ვრცელდებოდა და ქუჩის ბიჭბუჭებში ჰქონდა უფრო ბაზარი და გასავალი. ჩვენში-კი იმავე „ბარკოვშჩინას“ — „სახოკიადას“ ზემოდგან პატივცემულის მწერალის აკაკის სურათი აუფარებია ფარდად და სტამბის არსებობის სიკეთით უსარგებლია, რომ უფრო უკეთ და ადვილად შეიძლოს უწმაწურობის გავრცელება და ჰაერის მოშხამვა. უსირცხვილობაც ამასა ჰქვიან!..

ეს გარემოება რას მივაწეროთ: კერძო დუხჭირი მოვლენაა იგი, თუ ჩვენის დროების აღმნიშვნელი და დამხასიათებელი. ჩვენის აზრით, პირველი უნდა იყოს, თორემ მეორისაგან ღმერთმა დაგვიფაროს! იქ, სადაც ზრდილობა გამქრალია, მართებულობა უარ ყოფილი და ზნეობა გახრწნილი, იქ ერიც ვერა ერობს და, ამას ვინა სჩივის, ვერც გულში გაიტარებს იმედს, რომ ოდესმე ერობა და ცხოვრება შეეძლოს. ევროპის ერთი მწერალი ამბობს, რომ დიდი, ძლიერი რომი უზნეობამ დაჰღუპაო, და ვინც რომის ისტორია იცის, დაგვეთანხმება, რომ ამ სიტყვებში ბევრი მართალი ურევია.

დაუბრუნდით, მკითხველო, გონებით ისევ ვ. მ. ყიფიანის წიგნს „დაწყებითს ალგებრას“, გაიხსენეთ შრომა და ხარჯი მისის დამსტამბველისა და ეს მოვლენა ნათელ სხივად ჩაქეშუქებათ გულში, „ვინღაც“ სახოკიას წიგნაკით გულს შემოწოლილს კაეშანს გადაგიყრით. შეუდარეთ ორივეს სურვილი ერთმანეთს, რომლითაც უხელმძღვანელნიათ ერთსაცა და მეორესაც თავისის წიგნების დასტამბვის დროს, და დარწმუნდებით, რომ აქ ნათელია, იქ-კი ბნელი, ერთი ხეა კეთილი, ნაყოფისა კეთილის გამომღები, ხოლო მეორე ხე ხენეში, ბოროტებისა დამთესველი. რამდენადაც „ვინღაც“ სახოკიას საქციელი ადამიანს გულს მწუხარებით უვსებს, იმდენად ბ-ნის ვ. მ. ყიფიანის წიგნის დასტამბვა იმ იმედს აღუძრავს, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყოლია გულ-შემატკივარი მამულიშვილი და ჭეშმარიტს მამულიშვილობასაც, სამსახურსა და სიკეთესაც გაუწევენ ისინი სამშობლოსაო.

დიაღ, სიკეთისა და კეთილის ქმნის სურვილი უნდა იყოს ყოველის ადამიანის მოქმედების სარჩული და ყოველი საზოგადო მოღვაწე, მეტადრე იგი, ვინც კალამს ემსახურება, ამას უნდა სცდილობდეს, რომ სათნოება, მართებულობა წარიმძღვაროს წინ და არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ბაკონის შესანიშნავი სიტყვები:

რაც სისუფთავეა სხეულისათვის,
იგივეა მართებულობა ზნეობისათვის.

ჩიორა

## რუსეთის ცხოვრება.

—

ურალის მთებში, ქალაქ ეკატერინბურგის მახლობლად, ნავთი აღმოჩენილა.

—

რუსეთის ბეჭდვითის საქმის კრებაზედ, სხვათა-შორის, გარდაუწყვეტიათ — იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ აღკრძალულ იქმნას ამიერიდგან კვირა დღეებით სტამბაში მუშაობა.

—

ვოლინისა და პოდოლის გუბერნიებში წარსულს ზამთარში ხოლერა არ შეწყვეტილა, თუმცა სუსტად-კი იყო. ზაფხულის მოახლოვებისათანავე ხოლერით ავადმყოფების რიცხვმა იმატა. ორივე გუბერნიებში ავად გამხდარა ორის კვირის განმავლობაში 150 კაცზედ მეტი, მომკვდარა 50-ზედ მეტი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „კავკაზ“-ის გუშინდელი მეთაური წერილი ლაპარაკობს იაპონიასა და ევროპიელ სახელმწიფოთა საქმეების შესახებ და, სხვათა შორის, ამბობს: „ჩვენ გვგონია, რომ იაპონიასთან დავადგინოთ იმისთანა **modus vivendi**, რომლითაც სრულიად დაცული იქნება ჩვენი (რუსეთის) ინტერესები და ერთსა და იმავე დროს იაპონიაც კმაყოფილი დარჩებაო“. საკვირველია, ღმერთმანი, თუ-კი გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქციამ იმისთანა რამ საიდუმლო იცის, რომლითაც დაკმაყოფილდებიან ორივე მხარე, რომელნიც აგერ საცაა უნდა დაეტაკონ ერთმანერთს, რატომ არ იტყვის და მით არ ააცდენს როგორც რუსეთს, ისე იაპონიას სისხლის დაღვრას. იმედი გვაქვს, პატივცემული რედაქცია ამ საიდუმლოს არ დაჰფარავს და გამოაცხადებს.

—

ინგლისის ლიბერალთა გაზეთი „**DailyNews**“ ჩინეთ-იაპონიის საქმეების შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩინეთ-იაპონიის ომს მრავალი დიდმნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება. აღმოსავლეთს ქვეყნებში ცხოვრების ახალი ხანა იწყება... თავდაპირველი შედეგი — იაპონიის გავლენა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბატონობაა ჩინეთზედ... იაპონია ხელში ჩაიგდებს ჩინეთის სამხედრო საქმეს და გასწვრთნის მრავალ მილიონს ჯარს. ამ რიგად, ჩვენს დროში, ჩვენ თვალწინ, იზრდება გასაოცარის ძალის სახელმწიფო. ზავის სხვა პირობათა შორის ჩვენთვის, ინგლისელებისათვის, საგულისხმიეროა ჩინეთის ნავთ-სადგურების კარების გაღება უცხო ერთა სავაჭრო ხომალდებისათვის. ესს მართალი რომ დიდი გამარჯვებაა იაპონიის მხრივ, მაგრამ აუცილებლად საჭიროა ამ გამარჯვებით ინგლისმაც ისარგებლოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს ცდას, რათა ჩინეთის ბაზარი ხელში ჩაიგდოს და მარტო იაპონიას არ დაანებოს.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** „ფიგაროს“ ერთს თანამშრომელს, ბერლინში ყოფნის დროს, უკითხავს ლიბკნეხტისათვის, (სოციალისტების მეთაურია) რა მიზეზია, რომ ბისმარკის დაბადების დღე არ იდღესასწაულეთო.

„ბისმარკმაო, უთქვამს ლიბკნეხტს იმოდენა უბედურება დაჰმართა გერმანიას, რასაც ათი ომის გადახდა ვერ დაჰმართებდა. იმან ყოველისფერი გარყვნა და დაარღვია, სინიდისი და კაცის ნება გასასყიდად გახადა. მას მარტო ძალა და ძალ-მომრეობა სწამს. მას არც არაფერი გაუკეთებია და არც არაფერი შეუქმნია, მაგრამ უკაცრავად; იგი დიდის უწესოებას შემქნელია. გარემოებანი ხელს უწყობდნენ და ისიც სარგებლობდა ამით. მაგრამ მხოლოდ თავისს პირადობას მოუტანა დიდი სარგებლობა. იმ კაცს, რომელსაც სამსახურში შესვლამდის წაღები არ ეცვა, დღეს გერმანიის ხალხის ნაოფლარიდგან მოპარული რამდენიმე ასი მილიონი აქვს... მას უნდოდა, რომ მილიონერები შეექნა და სამწუხაროდ ჩვენს ხარჯით-კი შეჰქმნა. ერთი იმისი სამიწად-მფლობელო პოლიტიკა შვიდს მილიარდამდის გვიზის. ამისი დამალვა, რასაკვირველია, საჭირო არ არის, რადგანაც ხალხსა და იმპერატორს შორის უკვე ბრძოლაა გამართული. პარლამენტის დადგენილება პირველი ნასროლი ტყვიაა ხალხის მხრივ და უკანასკნელი „მიწყალე“ მონარქის დასასაფლავებლად. რადგანაც უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

## გამოსადეგი ცნობა.

—

ამ ბოლო დროს ბაღებისა და ვენახების პატრონებს ურჩევენ ლიზოლის ხმარებას; ლიზოლი მეტის-მეტი იაფი და ადვილად მოსახმარებელი წამალია და იხმარება მავნებელ მწერებისა და მცენარების ავადმყოფობის მოსასპობლად. წყალში გახსნილი ლიზოლი ($^5/_{1000}$-ი $^1/_2$ $^0/_0$) მარჯვნად სპობს ვაზის ავადმყოფობას. როგორც მოგეხსენებათ, ნაცარი ჩვენშიაც ძალიან გავრცელებულია და ლიზოლი კი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგიც არის. გერმანელი მებაღეები აღტაცებაში არიან ლიზოლის ძალით; ისინი ამტკიცებენ, რომ ერთ ან ორ პროცენტიანი წყალ-ნარევი ლიზოლი სრულიად სპობს სხვა-და-სხვა ჭიებს, მატლებს და სხ. მწერებს, რომელნიც ძალიან აფუჭებენ ხეხილს. ლიზოლი ყველა აფთიაქში იყიდება; ლიზოლს პულვერიზატორის საშუალებით ხეებს შეასხამენ ხოლმე. ერთ საუცხოვო თვისებათ ლიზოლისა ის უნდა ჩაითვალოს რომ იგი სრულებით უვნებელია და ბევრად უვნებელიც ვიდრე, მაგ. შაბიამანი, გოგირდი, ნახშირბადი და სხვა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 აპრილი.

**პეტერბურგი.** ხუთშაბათს, როდესაც იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს, ანიჩკოვის ბაღში სეირნობის შემდეგ სასახლეში ელევატორით აბრძანება ჰსურდა ფეხი იტკინა. ტკივილები დიდი არა აქვს; სიმსივნე ზომიერია. საზოგადოდ კარგად ბრძანდება.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რუსული მუზეუმი იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზედ.

უმაღლესად დამტკიცებულია წესდება იმის შესახებ, რომ მიენდოს ვლადიკავკავის რკინის გზას რკინის გზის ლიანდაგის გაკეთება: ვლადიკავკავის რკინის გზის სადგურ ტიხორეცკიდგან ცარიცინამდის ვოლგაზე ნავთსადგურითურთ, ჟელეზნოვოდსკიდგან სამკურნალო წყლებამდე და ეკატერინოდარის სადგურიდგან ქ. ეკატერინოდარის ბაზრის მოედნამდე.

ხუთშაბათს დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სასახლეში გენერალმა კუროპატკინმა წაიკითხა რეფერატი: „მიმოხილვა თანამედროვე სპარსეთისა“. გენერალმა აღნიშნა, თუ რა საჭიროა ტფილისს-ერივანით ჯულფამდის და ქვემოდ თავრიზამდის რკინის გზის გაყვანა. საჩქაროდ გზა-ტკეცილების გაყვანა ასტარიდგან არდებილით თავრიზამდის და ასხაბადისა და მეშედის შორის არსებულის გზა-ტკეცილის შეკეთება.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან: „საქმის ვითარება კრიტიკულია. ზოგიერთი გენერლები წინააღმდეგნი არიან ომის შეწყვეტისა. მრავალი ცენზორნი წინააღმდეგნი არიან მორიგებისა. ხელ-შეკრულობის ტექსტი იმპერატორის ხელშია. გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთ ბჭობა ჰქონდათ დიდ სახელმწიფოთა ელჩებთან“.

იოკოჰამიდგან დეპეშით იუწყებიან: საფრანგეთისა, გერმანიისა და რუსეთის პროტესტმა ზავის ხელ-შეკრულობის ზოგიერთის მუხლების წინააღმდეგ დიდი ზედ-გავლენა იქონია. ამბობენ, იაპონიას გაუძნელდება, რომ არ დაემორჩილოს ამ სახელმწიფოთა მოთხოვნილებასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გარიგებული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 211 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | 101⅞ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99 ⅞ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

Дозвено цензурою, Тифлисъ 15-го Апрѣля 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
მაგ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე